9

სამშობლო

ხუთშაბათი,
7 აპრილი
წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 1 მ. ცალკე ნომერი ერთი შაური. დამატებით 7 მ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ, ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების უაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მან.

№ 329 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 329

ტელეფონი № 76.

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც ღმერთი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

გრძელდება ხელის მოწერა 1916 წლის

ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

წელიწადი მეორე „სამშობლო“-ზე **წელიწადი მეორე**

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურათ გაზეთი ეღირება 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურათ 80 კ., ცალკე ნუმერი 5 კ. სოფ. სამკითხ. დაეთმობათ 6 მ., მასწავლებლებს 7 მ. წელიწ.

რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.** გამომცემელი ამხანაგობა **„სამშობლო“**

თაისის საურთიერთო ნდობის ცეცხლისაგან დამზღვევი საზოგადოების გამგეობა აცნობებს ბბ. წევრებს, რომ წევრთა წლიური

საზოგადო კრება

მელიც დანიშნული იყო 31 მარტს 1916 წელს, არ შესდგა. ამის მო გამგეობა აცხადებს, თანახმად წესდების 16 მუხლისა, რომ მეო კრება დანიშნულია 17 აპრილს 1916 წ. დ. ლის 10 საათზე ქუთაის ქალაქის თვითმართველობის დარბაზში და ჩაითვლება კანონიერათ მიუხედავათ გამოცხადებულ წევრთა რაოდენობისა და გაირჩევა **ვლევი საკითხები:** 1. 1915 წლ. წლიური ანგარიში გამგეობის განმარტებით, ევიზიო კომისიის და ზედამხედველი კომიტეტის მოხსენებითურთ. 1916 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. 3. გამგეობის მოხსენება ფიათის განყოფილებაში კულერულ დაწესებულებათა მოძრავ ქონებათა დაზღვევის შესახებ და მისი ტარიფის დამტკა. 4. გამგეობის მოხსენება ოპერაციის განყოფილების შესახებ. 5. გამგეობის წევრის მისი კანდიდატის არჩევა. 6. ზედამხედველი კომიტეტის ერთი წევრის და მისი კანდიდატის არჩევა. 7. სარევიზიო კომისიის სამი წევრისა და მათი კანდიდატების არჩევა 30 1—1

მდლეს კურსდამთავრებული ჯგუფი **ამზადებს** მოწაფეებს საშუალო სასწავლებელთა ევე კლასებისათვის და აგრეთვე სხვადასხვა მოწმობის მისაღებ გამოცდებისათვის.

რობების გაგება შეიძლება საღამოს 4—7 საათამდის შემდეგი მისამართით: თბილისის ქ. სახლი გიორგი გურგენიძისა თ.

ს./ს. **ი. გოკიელის** შვილების

ქუთაისში

ამით აუწყებს პატივცემულ მეაბრეშუმეებს, რომ

იიღეთ ცნობილი აბრეშუმის თესლი

ხ. ხრისტოდულიდის.

სამართი წერილებისთვის: ქუთაისი, სავ. სახ. ი. გოკიელის შ-ბის.

დეპეშისთვის: ქუთაისი, გოკიელებს. 60

აბრეშუმის თესლი.

ვვ შემოზიდულია საფრანგეთიდან და მიღებული თბილისის საბრეშუმო სადგურში. თესლი ყვითელი აბრეშუმისაა, უკეთესი ხარისხის, ვვ ცნობილი კავკასიაში და განგებ გამოგზავნილი საქართველოში სავრცელებლათ. თესლით მოვაჭრეთ ვსთხოვ: თბილისში მომმართონ რდაპირ მე (სასტუმრო ორიენტი) და თბილისის გარეთ ჩემს წარმომადგენლებს, ქუთაისში ფილიპე ნიკოლოზის ძე ჭელიძეს, აბაშაში იოსებ გეგენავას და ბათუმში ამბაკო ნადარეიშვილს.

საფრანგეთის მეაბრეშუმეთა წარმომადგენელი, გამოგზავნილი საფრანგეთის მართებლობის მიერ **ბადიკ კოსერი.** თ. 2

იყიდება ბალახვანის შესახვევში, ალექსანდროვის ბაღის საწყობის გვერდით სამოსახლო ადგილები.

მიმართეთ ადვოკატის ქუჩაზე, აკოფოვის სახლში №3 1—თ. 13

ბებია მ. მ. კოხრეიძე ულრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილაპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ექიმი ი. ჩარქვიანი ქალთ. სავათ მყოფის ორდინატორი. განაახლა ქალის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილ. , 12 — საათ, საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვი. ქუჩა, ალიხანოვის სახლი. თ.

ექიმი **შალვა კოკიჩაშვილი** იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის № 46, ტელეფონი № 87. 14 თ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი 2 თ.

ექიმი ა. მ. ასათიანი. განაახლა ავათმყოფების (ქალურ) ვენერიულ და შინაგან ავათმყოფების ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი, პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 2. 11 თ.

ექიმი **მულინი.** ყელის, ცხვირის და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა.

თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა. 10

ვეთალი **პ. ვ. ნეურონოვი** ღებულობს მოსარჩენათ ავადმყოფ ცხოველებს დილის 9—10 საათამდი და საღამოს 3—6 საათ. მისამართი: გოსპიტლის ქუჩა, სახლი ალახვერდიევისა, სამხედრო გოსპიტლის პირდაპირ. თ.

დაიკარგა

1915 წ. 23 გიორგობისთვეს უბის წიგნაკი სადაც იყო ჯარის კაცის ბილეთი,

უვადო პასპორტი და კეთილსაიმედო მოწმობა.

მნახველს უმორჩილესად ვსთხოვთ მოიტანოს თბილისის ქუჩაზე აბდუშელიშვილის სახლში ® გადასცეს დუტუ კინწურაშვილს, რისთვისაც შესაფერ ჯილდოს მიიღებს. პარმენ ასლ. ნადირაძე. 2—2—330

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

პეტროგრადი. 4 აპრილი. საზღვაო სამინისტრო იუწყება, რომ გემ „პორტუგალის“ დაღუპვის გამო ოსმალოს მთავრობამ მწუხარება გამოსთქვა.

კიევი. სამართალში მისცეს ოთხი ვაჟარი სანოვაგის ხელოვნურად გაძვირებისათვის.

ხარკოვი. ქალაქში არაჩვეულებრივი სიძვირეა.

პეტროგრადი. უმაღლეს მთავარ სარდლის ბანაკში მეფეს წარუდგა იაპონიის სამხედრო მისია აკიამას მეთაურობით.

პეტროგრადი. დეპარტამენტში დღესასწაულების გამო ორი კვირით მუშაობა შესწყდება.

პეტროგრადი. ჰელსინგფორსიდან იუწყებიან, რომ წელს ფინლიანდიაში მოსავალს სანუგეშო პირი უჩანსო.

პეტროგრადი. კერძო ხმები გავრცელდა, რომ რუსის ჯარმა ტრაპიზონი აიღოო.

პარიზი. 4 აპრილი. დეპუტატთა პალატამ მიიღო კანონპროექტი შესახებ სამოქალაქო წესის შეცვლისა.

პეტროგრადი. სარწმუნო წყაროებიდან გაუგიათ, რომ გერმანელებს მონღოლეთში განსაკუთრებულ სავაჭრო მისიით გაუგზავნიათ ამერიკელი ბარტი

თეირანი. სპარსეთის მთავრობას ცნობა მიუღია, რომ ოსმალეთ გერმანეთის მოაგიტაციე ერთი რაზმი სპარსეთის მთავრობის ჯარს შეუპყრია ბიეროჯისთან.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ტრაპიზონის გარშემო.

პეტროგრადის სამხედრო წრეები რუსეთის ჯარის ტრაპიზონთან მიახლოვების გამო დიდი მითქმა-მოთქმაა. სამხედრო ავტორიტეტის აზრით საქმაო კიდევ ერთი იერიში, რომ რუსის ჯარი ტრაპიზონის სიმაგრეების წინ გაჩნდეს. მდ. ყარადერეს მარცხენა ნაპირების პოზიციები უკვე რუსეთის ჯარის ხელშია; რუსეთის ჯარმა ამ მდინარიდან რამდენიმე ვერსით მოშორებული სიმაგრე სიურმენეც დაიპყრო და ახლა ტრაპიზონის სიმაგრეთა სფეროში შევიდა. აქედან ამ მოკლე დროში მოსალოდნელია ტრაპიზონთან დიდი ბრძოლები გაიმართოს; მაგრამ აქ სამხედრო მიმომხილველების აზრით ის გარემოებაა მხედველობაში მისაღები, რომ ტრაპიზონის წინააღმდეგ ბრძოლა რუსეთის ჯარისთვის ცალი ფრთით ბრძოლას ნიშნავს, რადგან ტრაპიზონი რუსეთ-ოსმალეთის ფრონტის დასავლეთის კიდურს წარმოადგენს; და როცა აქ გადამწყვეტი ბრძოლა იმართება, ეს იმას ნიშნავს, რომ მოპირდაპირეებმა მაშველი ჯარები ფრონტის ცენტრიდან ან სხვა ნაწილებიდან უნდა გადმოიყვანონ; ამ მხრით კი საქმე უგზოობის გამო ორივე მოწინააღმდეგისთვის მეტათ ძნელია. რუსეთის მხარეზე ამ შემთხვევაში ერთი უპირატესობა არსებობს, სახელდობრ ის გარემოება რომ მას საშუალება აქვს ძალები ზღვიდან მოიშველიოს და სამხედრო ფლოტის დახმარებით, როგორც ეს ყარადერენის პოზიციების დაკავების დროსაც ჩაიდინა, რომ მოპირდაპირე საარტილერიო ცეც ხლით ძალზე შეავიწროვოს.

რუმინიის შეთანხმება გერმანიასთან

გაზეთების გადმოცემით, პარიზში რუმინიის შეთანხმებას გერმანიასთან დიდ მნიშვნელობას აწერენ: საურთიერთო ვალდებულება, რომ ყველა ის საქონელი რაც კი რომელიმე მათგანს ზედმეტი მოეპოვება, ერთიმეორის დაუბრკოლებლივ უგზავნიდენ. ამნაირათ, გერმანია ამიერიდან პურით უზრუნველყოფილია. რუმინიის დათმობა შეთანხმებას კი ერთი მისი დიპლომატი კორესპონდენტთან საუბარში შემდეგ ნაირათ ხსნის: დარდანელის დაკეტვამ და გერმანიასთან დამოკიდებულების გამწვავებამ რუმინიას ბევრი საჭირო საქონელი მოაკლო; რის გამო ყველაფრის სიძვირემ საზღაპრო სახე მიიღო. მაგალითად ფეხსაცმელი 35 მან. იყიდება, ხოლო ერთი ადლი ქსოვილი თუმანზე მეტათ ფასობს; ასე რომ გლეხები თითქმის შიშველი დადიან ახლა ამ შეთანხმების შემდეგ კი გერმანია პურის სამაგიეროთ ყველა ზემოთ დასახელებულ ფაბრიკატებს ბლომათ მოგვაწვდის.

მდგომარეობის დასახასიათებლად

რუსეთის გაზეთების გადმოცემით ერთ შვეიცარიულ გაზეთში პოლკოვნიკი ფეილერი სწერს: „გერმანია იძულებული ხდება ომი თავიდან დაიწყოს: მას ახლაც იგივე კითხვა უდგას წინ, რაც ომის დასაწყისში იყო წამოყენებული. სახელდობრ ის, თუ, რომელ ერთ მხარესთან, რომელ მოწინააღმდეგესთან მოასწრებს ის პირველად ზავის შეკვრას: აღმოსავლეთის ფრონტზე, თუ დასავლეთისაზე?“.

კრუპს ეჯიბრებიან.

„ბირჟევია ვედომოსტის“ გადმოცემით, „ბერლინერ ტაგებლატს“ ციურიხიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ საფრანგეთში ახალი სისტემის შორს მსროლელი ზარბაზნები გამოიგონეს, რომლებიც საფრანგეთის ჯარში უკვე შემოიღესო. ეს ზარბაზნები კრუპის ცნობილ 42 სანტიმეტრიან ზარბაზანს მოცილებას გაუწევს, რადგან მას არაფრით არ ჩამოუვარდებაო.

ევაკუცია პეტროგრადში.

„რუსკია ვედომოსტის“ გადმოცემით ხუთი მინისტრის თათბირმა დაადგინა, რომ პეტროგრადის ზოგი ფაბრიკის საევაკუციოდ ზომები მიიღონ და გაწვეულ სათადარიგო ჯარის კაცთა ოჯახის წევრებისათვის დანიშნული კერძო დახმარება შეამცირონ. ეს სხვანაირად რომა ვსთქვათ პეტროგრადის ზოგი ფაბრიკის დახურვას და ჯარის კაცთა ცოლების ფულით დახმარების შემცირებას ნიშნავს.

რა ხდება ალბანეთში.

ბუქარესტიდან იტყობინებიან: ავსტრიელები კვლავ განაგრძობენ ალბანეთში გამაგრებას; ისინი აქ თავს უყრიან ძალებს, მოაქვთ არტილერია და მოჰყავთ ქვეითა ჯარები. როგორც კი მზადებას და თავყრას დაამთავრებენ, მაშინვე ვალონზე (იტალიის წინააღმდეგ) გალაშქრებას შეუდგებიან.

საბერძნეთი და იტალია.

ბუქარესტიდან იტყობინებიან, რომ გაზეთ „პოლიტიკის“ გადმოცემით საბერძნეთმა იტალიასთან მოლაპარაკება გამართა, რომ საზღვარზე მოსალოდნელი შეტაკება თავიდან აიშოროს.

მოკავშირეთა კონფერენცია.

პარიზიდან იუწყებიან, რომ მოკავშირეთა კონფერენცია, რომელიც ახლა პარიზში სხდომებს მართავს, სხვათა შორის მოკავშირე სახელმწიფოთა შორის ფულის კურსის მოწესრიგებაზე იზრუნებს. განსაკუთრებით მდგომარეობაში ამ მხრით რუსეთი, რომლის მანეთიანის კურსი ყველგან საგრძნობლათ დაეცა.

ქ. ქუთაისი, 7 აპრილი.

ფედერალისტები ძალზე დაფეთებული არიან; ხუმრობა ხომ არ არის სამი მიმართულება შეითქვა მათ წინააღმდეგ იერიშის მისატანათ, მათ დასამარცხებლათ და აბა, რა საკვირველია, თუ ამისთანა საბედისწერო ჟამს ისინი არ მოერიდებიან არავითარ საშუალებას მტრისაგან თავის დასაცველათ, ხიფათის თავიდან ასაცილებლათ; სწორედ ეხლა არის ფედერალისტების შესვენებულ ჭირითა გამოსვლა ხმლით ხელში მოწინააღმდეგის დასაჩაგრავათ.

და, აი, კიდევაც გამოუშვეს საბრძოლათ ფედერალისტ ვაჟკაცთა შორის უპირველესს გმირათ ცნობილი, სახელოვანი პუბლიცისტი „დალი" რომელიც ქვეყანას არწმუნებს, რომ ერთად ერთი პარტია, რომელსაც შეუძლია ნამდვილი სისწორით გამოხატოს ჩვენი ქვეყნის საჭიროებანი—ფედერალისტური პარტია არის, რომლის უპირატესობაც იმაში მდგომარეობს, რომ იგი ერთსა და იმავე დროს ეროვნულიც არის და სოციალისტურიცაო".

ამ უებარი პუბლიცისტის შეხედულებით, თურმე, დასელები არ ყოფილან სოციალისტები და არც „საქართველოს სამშობლოელნი". ნაციონალისტები „წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ დაუკავშირდებოდნენ ერთმანეთს ეროვნული პარტიის წინააღმდეგო".

ამ ავარა პუბლიცისტის შუბლი მისთანა მაგარი გამოდგა, რომ, არ იქნა, ვერ შევაგნებინეთ, რომ, თუ ჩვენ და დასელებს ხშირად გვიხდება წერა და ლაპარაკი ფედერალისტების წინააღმდეგ, მხოლოდ იმიტომ, რომ არ შეიძლება არ ჩამოეხადოს ნიღაბი მისთანა პარტიას, რომელიც სიტყვით თავის თავს სოციალისტ ნაციონალისტის სახელით ნათლავს და საქმით კი ერთსაც ღალატობს და მეორესაც—არც ერთს მათგანს არ ემსახურება რიგიანათ და ხელს კი უშლის სხვა აშკარათ გამოსახულ და მტკიცეთ განსაზღვრულ პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ჯგუფებს.

ვიდრე ბოლო არ მოეღება პარტიის ამგვარ ორპირობა-გამოურკვევლობას და არ გამოაშკარავდება, ბოლოს და ბოლოს, თუ რომელი დროშის საშაბური დაუსახავს მიზნათ პარტიას, რომელ სოციალურ კატეგორიას ეყრდნობა იგი, მანამ ჩვენ და დასელები ვერ შევწყვეტთ ბრძოლას ფედერალისტების წინააღმდეგ; ფედერალისტების მუდმივი რწმუნება—სოციალისტები ვართ, მშრომელი ხალხის ინტერესებს ვიცავთ და მასთან საქართველოს აშენება მარტო ჩვენი პარტიის მადლით მოხდებაო—არ შეიძლება დავიჯეროთ, რადგან აუარებელი ფაქტი, რომლის აღნუსხვასაც ჩვენ აქ ვერ შევუდგებით, ნათლათ მოწმობს, რომ ისინი იმდენათ არ დაგიდევენ დაიცვან მშრომელი ხალხის ინტერესები, იზრუნონ მის ჭირ-ვარამზე და ეცადონ შეუმსუბუქონ ტვირთი მაშვრალთ და არც მამულის აღდგენის საქმეში ვარგიან მებრძოლათ, რადგან მოკლებული არიან იმ შინაგან ცეცხლს, რომელიც შეუწყვეტლივ უნდა ღვიოდეს ყოველი ჭეშმარიტი პატრიოტის გულში და რომელსაც მხოლოდ ძალუძს თავი გაგაწირვიოს მამულისათვის

ამას კი ჩვენ ვერ ვხედავთ ფედერალისტებში, რადგან, როგორც საკაცობრიო იდეალებისათვისაც მებრძოლი და საერთაშორისო სოლიდარობის მქადაგებელი, ფედერალისტური პარტია იძულებულია და შესაძლოა თავის სურვილის წინააღმდეგაც, გადადგას იმისთანა ნაბიჯი, რომელიც სამარცხვინოა და დიდი ზიანის მომტანიც ჩვენი ეროვნული თვალსაზრისით.

ამნაირ ორმაგ ბუღალტერიას ერთხელაც არის უნდა მოეღოს ბოლო და პარტია აუცილებლათ ერთს გარკვეულ გზას უნდა დაადგეს.

ის.

საჭირო საკითხი.

ჩვენ, ინტელიგენციას, სამწუხაროთ, უნარი არა აქვს რამე საზოგადო საქმე ჯეროვან ნიადაგზე დააყენოს და თავისი მოღვაწეობით საზოგადო ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩააყენოს. ვერც ერთ საზოგადო ბოროტებას და გამანადგურებელ უბედურებას ჩვენი ინტელიგენცია ვერა სპობს. ამის მაგალითი ბევრია, სხვათა შორის, გავითვალისწინოთ დღევანდელი ერთი აუტანელი სენი.

ჩვენში ბუდე გაიკეთა ერთმა ბოროტებამ, რომელსაც ახლა სახელს თუ დავარქმევთ, თორემ ძველი სახელი არა ჰქვია, რადგან უწინ ასეთი ფორმის ბოროტება არ ყოფილა

ეს გახლავსთ ცოცხალი ადამიანის მოპარვა ამის გამო თავისუფლათ ველარ გაუვლია ადამიანს ველარც დღე, ველარც ღამე. ცხადია, რომ ამის შემდეგ ნორმალური ცხოვრება შეუძლებელია არა მარტო მისთვის, ვისაც პირადათ ელის მარცხი, არამედ მთელი საზოგადოებისთვის და აი რატომ:

ეს გონებადაბნელებული და ზნეობა გათახსირებული პირები, სხვათა შორის, აწუხებენ პატივცემულ ექიმს ბ ს ხიჩინოვს. განა ეს კერძო შემთხვევაა?

სრულებით ც არა. ნივთიერი მდგომარეობა და წლოვანება ნებას აძლევს ბ. ხიჩინოვს, რომ შრომით თავი აღარ შეიწუხოს და თავისუფლათ იცხოვროს იქ, სადაც სურს. ბ. ხიჩინოვი ასე არ იქცევა; მას თავისი მოვალეობა ღრმათ აქვს შეგნებული და თავისი ხელობით შველის ყველას,.. ვისაც ის სჭირდება ყველამ ვიცით, რომ დღეს პაციენტს სჭირდება ხიჩინოვი და არა ხიჩინოვს პაციენტი, მიტომაც განსაკუთრებით მოვალეობის შეგნება აიძულებს მას ღამე გაჭირვებულს მიეშველოს.

აი, ამ კეთილ სურვილს პატიოსანი ადამიანისას წინ ეღობება უცნაური გარემოება, მას ბოროტ გამზრახველნი ემუქრებიან მოტაცებას, ის უზრუნველყოფილი არ არის თავისუფლებით იაროს და თავისი შრომით მომაკვდავს უშველოს რა მდგომარეობაში ვარდება ამის გამო ავათმყოფის პატრონი? ამას მხოლოდ ის მიხვდება, ვინც გულწრფელი ერთგულია თავისი ავათმყოფის და ამ გვარი შემთხვევა გამოუცდია. რა თქმა უნდა ექიმი სასწაულთ მომქმედი არ არის, ის ყველას სიკვდილისაგან ვერ იხსნის, მაგრამ ზნეობრივი ტანჯვისაგან თავისუფალია [illegible], თუ დროზე ექიმი იშოვა. ცხადია, მკითხველო, ყოველთვის შემაწუხებელია ასეთი გარემოება და დღეს კი, როცა ექიმთა რიცხვი შემცირდა და ორ სამ კაცს შევეჩერებივართ, პირდაპირ აუტანელია.

ვის აღარ სჭირდება, ვის მოძღვარი, ვის [illegible], ამის ჩამოთვლა განა შესაძლებელია? ერთი სიტყვით, თუ ეს საზიზღარი მოვლენა იქნა და ბოროტების ბრბომ ითარეშა, ყოველი მოქალაქე შეწუხებული იქნება, მიუხედავად პროფესიისა და შეძლებისა შევიგნოთ, რომ ეს საზოგადო ბოროტებაა და არა კერძო: ეს მოვლენა არსებითად არღვევს საზოგადოების ცხოვრების მიმდინარეობას და არა მარტო კერძო პირს აყენებს განსაცდელში.

ჩვენი სისუსტეა, თორემ ყოველი წრისა და ჯგუფის წარმომადგენელთ რომ თავი მოგვეყარა, ერთმანეთის აზრი გაგვეგო და საერთო პირი შეგვეკრა, ეჭვს გარეშეა გამოვძებნიდით გზას, რომ ასეთი პირები აღმოგვეჩინა და მათთვის სამოქმედო ნიადაგი მოგვესპო. ცხადია, თუ დარწმუნდენ ის საცოდავი არსებანი, რომ მათ მარტო პოლიცია კი არა, თვით საზოგადოება სდევნის, [illegible] დაანებებენ თავს ამ საზიზღარს და ღვთის შეურაცხმყოფელ ხელობას. ინიციატივა ამ საქმეში ქალაქის გამგეობის უნდა იყოს და პრესა კი მოვალეა მხურვალე მონაწილეობა მიიღოს.

აქაური პარტიები ერთმანეთს ეჩხუბებიან არა, [illegible] მოღვაწე, არა, მეტ და რაც უპირველესი საქმე—მოქალაქის პიროვნების ხელშეუხებლობაზე ზრუნვა—ეს კი პოლიციის მოვალეობა გონიათ და თვითონ თავს არ იტეხენ. შეუწყნარებელია ასეთი გულგრილობა. ზნეობრივი მოვალენი ვართ ყველა ვეცადოთ ეს ბოროტება მოვსპოთ და საზოგადო ცხოვრება ნორმალურ მიმდინარეობაზე დავაყენოთ.

მოკვე.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

გუშინ, ქალაქში ბაირაღები გამოფინეს რუსის ჯარის მიერ ტრაპიზონის აღების გამო.

მისალოცი დეპეში

რუსის ჯარის მიერ ტრაპიზონის აღების გამო, ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურობამ კავკასიის მეფის ნაცვალს და კავკ. ჯარის მთავარ-სარდალს შესაფერი შინაარსის მისალოცი დეპეში გაუგზავნეს.

◆ ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრის ადგილზე ახლათ დამტკიცებული ვასილ [illegible] გუშინწინ უკვე შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

◆ დღეს 7 აპრილს, ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის დარბაზში დღის 12 საათზე დანიშნულია ფრინველთა მომშენებელი ახალი საზოგადოების წევრთა კრება. სასურველია, რაც შეიძლება, მეტი საზოგადოება დაესწროს.

◆ კავკასიის რკინის გზის სამმართველოს განკარგულებით ყველა დიდი სადგურის უფროსებს, მათ თანაშემწეებს და [illegible] პირებს უფლება მიეცათ მატარებელის რევიზია გაუკეთონ. ამის გამო, მგზავრები სჩივიან, რომ ყოველ სადგურ შუა სჩხრეკენ მატარებელს და ღამით მოსვენებას აღარ გვაძლევენო, ერთ მგზავრისთვის 25 ჯერ გაუჩხრიათ ტფილისსა და ქუთაისს შუა სამგზავრო ბილეთი, ასე, რომ თვით ბილეთზე აღარ სჩანდა სად მიდიოდა მგზავრი. ასეთი შემთხვევები მხოლოდ ჩვენში შეიძლება.

◆ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ გუბერნატორს უკვე წარუდგინა ქალაქის საბჭოს 14 მარტის სხდომის ოქმი დასამტკიცებლად.

◆ სამოსწავლო მთავრობის განკარგულებით 1915 წ. სექტემბრიდან ხუთ ხუთი მანეთი მიემატა თვიურ ჯამაგირზე სახალხო მასწავლებელთ

◆ სრულიად რუსეთის ქალთა კავშირის მთავარი კომიტეტის ცირკულიარის თანახმად, საიდუმლო საჩუქარი მიეცემა ქალთა კავშირის საავადმყოფოს ყველა მოსამსახურეს მათი ჯამაგირის მიხედვით ამასთანავე მთავარი კომიტეტი სთხოვს შეატყობინოს: ა) ფასი უსაჭიროეს სანოვაგეზე 1914 წ. პირველ ოქტომბრიდან პირველ მარტამდი 1916 წ., ბ) ფასი წამლებზე; გ) საავადმყოფოს მოსამსახურეთა შტატი და დ) დღევანდელი სიძვირე ხომ არ შეუ[illegible] სება.

◆ დ. ხონის მცხოვრებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართოს დააარსონ ხონის სასოფლო სამეურნეო საზოგადოება.

◆ სოფ. ძირულის სამკითხველოს გამგეობამ დაადგინა: აკურთხოს ბიბლიოთეკა ახალ კვირას, და კურთხევის დღეს მოიწვიონ მწერალი ია ეკალაძე.

◆ რაჭის მაზრის უფროსი დეპეშით სთხოვს გუბერნატორს, რომ ნება მისცეს ხოტევის 2 კლ. სკოლის მასწავლებელს ათანასე გაგოშიძეს, ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოთ 16 აპრილს გამართოს წარმოდგენა ამავე სოფელში.

◆ თანახმად 398 სათადარიგო საავადმყოფოს უფროსის თხოვნისა, ქალაქის გამგეობამ აცნობა, რომ ფუთი ნავთი ამ ჟამად ფასობს 2 მ. და ორ შაურად.

◆ რედაქციამ მიიღო ჟურნ. „განათლება" № 3 მარტისა. ჟურნალი ჩვეულებრივი შინაარსით არის შედგენილი და სხვათა შორის მოთავსებულია ქ. წ. კ. გამ. საზ. გორის, ჭიათურის, ბაქოს და განჯის განყოფილებათა მოქმედების ანგარიშები. მოხსენება ბაქოს სკოლის შესახებ და ოქმი არმავირის განყოფილებისა.

პასუხი „სამშობლოს" რედაქციას.

თქვენ კითხვაზე: მქონდა თუ არა მიღებული, როგორც დრამატიული საზოგადოების მოლარეს, 2 აპრილის საღამოს შვიდი საათისათვის ყველა წევრისაგან შემოტანილი ფული, და კრების დაწყებისას გვქონდა თუ არა შედგენილი სათანადო ოქმი და სხვ., შემიძლია გიპასუხოთ შემდეგი:

2 აპრილს, საღამოს 6 საათზე, როცა საერთო სიაში შევჰქონდა წევრები, ალ. კრინიცკის შევეკითხე, თუ როდის ჩამაბარებდენ მათ მიერ გაცემული კვიტანციებით შემოსულ ფულებს. ბ. ალ. კრინიცკიმ გადმომცა 117 მ. და მითხრა, რომ 600 მ., შუადღემდის შემოსული, მაბარებული აქვს საბჭოს მოლარეზე, მერმინდელი შემოსული კი ხელში აქვთ ბ გუგუ ფუქისაძეს და ბ. აკაკი ფაღავას*), რომლებიც იმ დროს, როგორც მე, ისე განაგრძობდენ წევრების ჩაწერას და ფულების მიღებას.

ყველა სავეტანგით წიგნაკები შევამოწ

---

*) ხაზი ყველგან ჩვენია. რედ.

საიდუმლო მოწამე.

(ნათარგმნი რუსულიდან).

ებრაელთა მმართველს პონტოელ პილატეს ესტუმრა გალილეის მმართველი იროდე ანტიპა, რომელიც მასთან რამდენსამე წელიწადს უკმაყოფილოდ იყო პილატემ იგი დიდის პატივისცემით მიიღო, კარგათაც გაუმასპინძლდა—შერიგების ზეიმი გაუმართა. სტუმარ-მასპინძლები მხურვალედ მსჯელობდენ ახალ სექტაზე, რომელიც მთელ ებრაელობას აღელვებდა.

— მავნე კაცად არ გიცვნია შენ იესო გალილეველი... ეუბნებოდა პილატე იროდეს მე ის იმიტომ გამოგიგზავნე, რომ შენის საბრძანებლიდან არის შენი აზრი იმ კაცზე კაიაფასაც ვაცნობე ვერც მე შევამჩნიე მას რაიმე ცუდი ვერავითარ ბრალს ვერ შევსწამებ ისინი კი გაიძახიან: „ჯვარს აცვ!, ჯვარს აცვ!.. ყვირიან: „კეისრის მტერია, მოღალატეაო".

— ვერ გამიგია, რატომ უნდა იყოს იგი კეისრის მტერი ის ბრძანებს: იწამეთ მხოლოდ ჩემი ერთი ღმერთი და კეისარსაც ჯეროვანი პატივიეცითო არავითარ პოლიტიკურ საქმეებში ის არ ერევა, მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულობა მას ფიქრადაც არ მოსვლია. ის ფარისევლების მტერია კაიაფასი, სინედრიონის და არა რომის, ან კეისრის. რისთვის უნდა დავსაჯოთ იგი? ისინი კი გაიძახიან: ჯვარს აცვით, ჯვარს!

— ამ ქვეყნად ჭეშმარიტების აღსადგენად მოვედიო ლაპარაკობს იგი.

— რა არის ჭეშმარიტება? შევეკითხე მას.

— ჭეშმარიტება!? იმისთვის ჭეშმარიტება ერთია. ჩემთვის მეორეა. ამ ფარისევლებს, მწიგნობრებს, მღვდლებს, მათ წინასწარმეტყველებს და მათ მოსეს, თავისი ჭეშმარიტება აქვთ, რომელიც დიდებული რომისთვის ჭეშმარიტებად არ ჩაითვლება რომი დიდებულია, სულგრძელი, ის ყველა ერის სარწმუნოების შემწყნარებელია, ფარისევლებს არ უშლის თავისი სინაგოგები, სამლოცველოები ჰქონდესთ მაგრამ რომს შეუძლია განა მიიღოს ამ ყრუ ხალხის ჭეშმარიტება? ისინი ყაყანობენ ამ ღატაკ გალილეველზე, რომელიც ხალხს მოუწოდებს და პოეტური სიტყვებით ესაუბრება რათ უნდა ეშინოდეს კეისარს ამ გალილეველის, ან მისი იგავების? გალილეველი იესო ამბობს, რომ მისი სამეფო ამ ქვეყნად არ არის. მაშ, რა შუაშია პოლიტიკა? რისი უნდა ეშინოდეს კეისარს? ჩასთვალოს ამ იესომ თავის თავი ძედ ღვთისად, ვინც მას თავის ღმერთად მიაჩნია, აქ რა შუაშია კეისარი? კეისარი ზეციური მეფე ხომ არ არის. იგი მფლობელი და ბრძანებელია კანონიერად არსებულ სამეფოსი ამ ოცნებით გატაცებულის ღატაკი გალილეველის ქადაგება არაფერს პოლიტიკურ საქმეს არ წარმოადგენს.. ჩემმა ცოლმა რაღაც საკვირველი სიზმარი ნახა, მას გამოეცხადა იესო. ცოლი მთხოვს: იმ საწყალს იესოს ნურაფერ ცუდს ნუ დამართებო. მე იმდენათ ცრუმორწმუნე არა ვარ, მაგრამ ხანდახან სიზმარი აშფოთებს კაცის სულის სიმშვიდეს. კალფურნიამ ნახა რაღაც მისტიური სიზმარი და კეისარს უშლიდა, სენატში ნუ წახვალო, მაგრამ მან არ დაუჯერა... მე სრულიადაც არ მეშინია იესოს მეგობრების შურისძიების, არც სიკვდილის თუ იესო დავსაჯე, მისი მეგობრებიცა და მოწაფეებიც ისეთივე ზეციური ოცნებით არიან გატაცებული, როგორც იმათი მოძღვარი და იმათი ძალა და იარაღი მხოლოდ სიტყვაშია. მაგრამ არ მინდა უსამართლო და უსინიდისო საქმე ჩავიდინო და უბრალო კაცის სისხლი დავღვარო, თუ ამას აუცილებელი საჭიროება არ მოითხოვს.

— შენთვის მას უთქვამს, მოვედი იმისთვის, რომ ამ ქვეყნად ჭეშმარიტება დავამყარო, უთხრა იროდემ. განა ამასვე არ ამბობდა იოანნე: ჩემს შემდეგ დიდებული წინასწარმეტყველი მოვაო, როცა შევიტყვე გალილეველი სასწაულთ მოქმედია და მკვდრებსაც კი აღადგენსო, ვიფიქრე, იქნება თვითონ იოანნე აღდგამეთქი, მაგრამ, როცა იგი შენგან გამოგზავნილი ვნახე, კაცი მშვიდობიანი, კაცად ვსცანი და არა მრისხანე, როგორიც იყო იოანნე და ის წყნარი ხასიათის კაცად მეჩვენა, თითქოს ამ ქვეყნიერებაზე ხელაღებული ყოფილიყოს. არც ერთ ჩემს კითხვაზე პასუხი არ მოუცია. იოანნე მაშინაც კი არ დამცინოდა და დამშვიდებული, როცა ორმოში დავამწყვდევინე. ამ უმანკო კაცის საწინააღმდეგო რა უნდა მეთქვა? შენ იგი ჭეშმარიტებაზე გელაპარაკებოდა ჩემს წინ მას ერთი სიტყვაც არ უთქვამს.

მეც მგონია, რომ ის კერპი სექტანტია, სჯულის განმდგომი, გატაცებული, რომელიც ერთ ხნის მტკიცედ დასდგომია. ის სულ გაჩუმებულია, ძნელად თუ რამეს ათქმევინებს მას კაცი. ვფიქრობ, იმ კაცს, თავისი თავი ისე დიდ ვინმედ მიაჩნია, თითქოს უბრალო მომაკვდავი მის აზრს ვერ მიხვდებოდეს; მგონია, იგი ფიქრობს, ზეგარდამოვლენილ განგება მხოლოდ მას ესმოდეს. შენ სრულიად მართალი სთქვი, ჩვენი იმპერია ბრძნულ პოლიტიკას ადგია და ყოველგვარ სარწმუნოებას იცავს. მინდოდა, ეს საქმე ცოტა სასაცილოდ წარმომედგინა: ჩამეცვა ამ ღატაკ სულელი გალილეველისათვის მეფური ტანისამოსი. რა მენაღვლებოდა, თავისი თავი მას ზეციურ მეფედ, თუნდა ისრაელთა მეფედ ჩაეთვალა. ჩვენ რაღა უნდა შევხებოდით? ჩვენ, რომელნიც კეისრის ნდობით ვართ აღჭურვილი და პროვინციების მართვა გვაბარია? როგორც შენ, ისე მეც, წინააღმდეგი ვარ, რომ ამ საქმეს პოლიტიკური მნიშვნელობა მიეცეს.—

— მართალია, მაგრამ მინდა როგორმე ამ საქმისაგან თავი გავითავისუფლო, უპასუხა პილატემ. მე ჩაბმული ვარ ამ სინედრიონთან, ამ გაბატონებულ კაცებთან, მზაკვრებთან, მდიდრებთან, შეძლებულებთან, მოღალატეებთან, რომელნიც მაბეზღრობასაც კი ეკადრებიან კეისრის წინაშე.

მაგრამ შენც კარგად იცი უთხრა ჩუმად იროდემ,—კეისარმა მართველობას თავი განება და თავისი ბედნიერობა მაკრონს გადასცა. მაკრონი სწყვეტს საქმეებს, კეისარი მხოლოდ ხელს აწერს.

— ვიცი, უთხრა პილატემ აი, გაგზავნის ვინმე კაიაფასთან დაბეზღების ქაღალდს მაკრონთან ან შენზე, ან ჩემზე, თან ბლომად ფულსაც გააყოლებს და შეიქნები კეისრის მოღალატე. მაკრონი მხოლოდ ჩუმად ეტყვის კეისარს.

— მართალი ხარ, დაეთანხმა იროდე.

— ახლა ხომ ხედავ, რომ ორ ცეცხლშუა ვარ, უთხრა პილატემ. ვზივარ ამ დაწყევლილ ქალაქში სადაც თავი მოუყრიათ მტარვალებს, რომის მტრებს, თავისუფლებისას, განათლებისას..

— ხასიდებს?—ჰკითხა იროდემ.

— ჰო, ხასიდებს, ანუ ასიდებს, რომელსაც ბერძნები ფარისევლებს ეძახიან. აქ ისინი დაფუსფუსობდენ, სადაც ოდესმე იმათი სამეფო ყოფილა. ისინი მუდამ თავისი მეფეების შთამომავლობაზე ფიქრობენ, ოცნებობენ, მაკავეიებზე, ხასმონაზებზე და დავითის სამეფოზე. იმათი აღდგენა, რაღა თქმა უნდა, შეუძლებელია, ისინი გაჰქრენ, აღარ არიან, მაგრამ ოცნება დარჩენილა. სადუკევებთან კი შესაძლებელია ცხოვრება. ესენი განათლებული და სულით მაღალნი არიან. ამათ უყვართ ლიტერატურა, მხიარული ცხ რება, ყველა მცნება მამა პაპათა, მოს და წინასწარმეტყველთა სჯული მათთ როგორც განათლებულ კაცებისთვის, მ ლოდ ზღაპარია, ყოველს მნიშვნელ მოკლებული. ხასიდები, ანუ ფარის ლები კი მავნე კაცთა ბუდეს შეადგ ერთი შევახედა, როგორ იყურებიან: დახრილი და წარბშეკრული გიყურ როცა მოგჩერებიან, გრძნობ, რომ ლითა და ბოროტ განზრახვით გხედ იმათ გაუგებარ წიგნებში, იმათ გონ იმათ მოქმედებაში იმალება ერთი ა ერთი იმედი—რომ მფლობელები ნენ მთელი დედა-მიწისა, რომ ეს სუ ლური ოცნება დავითის მეფობაზე, მ ნებლობა ღვთისაგან არჩეულ ხალხის ავიწყდებათ. შენ შენს ქალაქს, ტიბე ში, დამიჯერე, უფრო მოსვენებული და იქ ყოფნა გერჩიოს, ვიდრე ამ ყველილ ქალაქში

— გალილეველები პოეტები არიან უთხრა იროდემ. აი, ეს იესოც ლ პოეტია. გალილეველებს უყვართ თ მის წყალი. დახე, როგორ უვლიან პალმებსა და ყანებს. და ეს ებრაე სულ აგროვებენ ფულებს თავის ს ცავში და დიდ პროცენტებს იღებენ. როვებენ სულ დავითის სამეფოს დგენით. წარმოსთქვა დაცინვის მისწერე ლეგატს, ჰკითხე რჩევა ამ მეში.

— მაგრამ ლეგატმა მითხრა მხრით, ეს თითქოს მისი საქმე არ და დასძინა, ვითომც მე საკმაო უ მქონდეს მონიჭებული ამ საქმის გ წყვეტად, რომ მათი პასექის დროს, ლება მაქვს ერთი ტყვე გავათავისუ ლო ატს გაუკვირდა, რომ რჩევას ან მისი აზრის გაგება მინდა ამისთანა რალო საქმეში.

ის საღამოს. აღმოჩნდა, რომ მათ სულ 1118 მანეთის კვიტანცია. ებიდან ბ. აკაკი ფალავადან უნდა 196 მ. და გადმომცა კიდევ 4 აპ- ბ. ალ. კრინიცკისაგან კი, იმ 117 მ. რომელიც 2 აპრილს გადმომცა, 700 მანეთი 4 აპრილსვე. დანარჩენი მანეთი, როგორც ანგარიშმა გვიჩ- უნდა ყოფილიყო ბ გუჩა ფარქოსაძის რომელიც იმ დროს ქუთაისში არ ყოფილა და მის მაგიერ ბ. ალექსანდრე ცკიმ გადმომცა მხოლოდ 100 მ. იმ

ც შეეხება ოქმს, ამის შესახებ არა- ოქმი არ ყოფილა შემდგარი.

მატებითი სიის შესახებ შემიძლია ფნოთ შემდეგი: მართალია ესფერებმა დამატებითი სია მას შემდეგ, რაც გაიგეს მოწინააღმდეგე ჯგუფებიდან ჩაწე- წევრების რაოდენობა. მაგრამ ამ ტებითი სიასთან ერთად მათ მიერ მოდგენილი იყო ფულებიც.

რამატიული საზოგადოების ყოფილი აპრილი. მოლარე ს. კილაძე.

P. S. თუმცა ეს წერილი, ცოტა „დი მატიურად“ არის დაწერილი (ბო- ს ვითხოვთ ბ-ნ კილაძესთან), მაგრამ ლადა სჩანს, რომ

1) ფულები 2 აპრილისათვის სავსებით გადაუციათ მოლარისათვის.
2) არ შეუდგენიათ ოქმი და
3) დამატებითი სია „წარმოუდგენიათ, შემდეგ, როცა მოწინააღმდეგეთა ძა- ბი გაუგიათ.

ნე უბრალო ენით რომ ვსთქვათ, ნისიათ შეუშვიათ.

პატოსანი მოწინააღმდეგე და პარტია- ასე მოიქცეოდა: ჯერ შეადგენდა სა ნდო ოქმს, გადასცემდა ფულებს ჩა ნადარს და მერე გამოვიდოდა საბრძოლ ლად.

ვთხოვთ მიაქციოთ ყურადღება შემდეგ რემოებასაც:

ბ-ნ ს. კილაძე ადასტურებს, რომ „ეს- რებმა მოიტანეს დამატებითი სია მას მდეგ, რაც მათ გაიგეს მოწინააღმდეგე უფებიდან ჩაწერილი წევრების რაოდე ნობაო“, მაშასადამე, ფედერალისტებს ერთი არ ჰქონდათ საკმაო ძალა და ოლეც ერთი „რეზერვი“ მხოლოდ მაშინ მოუშვიათ, როცა საფანელი შემოჰკლე ათ.

ჩვენ ერთხელ კიდევ ვიმეორებთ: ეს რეზერვები“ ნისიათ შემოუშვეს, რადგანაც სადარიგო ჯარს“ წინდაწინ საწევრო ულს ვერ გამოართმევდნენ. მთელმა ქვე- ნამ იცის, რომ საწევრო ფულს თავის ბიდან იღებდენ და ფედერალისტები ც ისეთი გიჟები არიან, თუ არა გაჭირ ბის დროს, თავისი ფული დაეყარათ.

ამ გვარად, ბ-ნ ფედერალისტების ეშმაკობა და მახინჯიები ყველასთვის აშკარაა, ძლიერი და გავლენიანი პარტია კი ასეთ სამარცხვინო საქმეს არ ჩაიდენდა! .. აი, რას ვამტკიცებთ!

რედაქცია.

ღია წერილი

თავად კიტა აბაშიძეს და გრ. გველესიანს.

თქვენ ჟურნალში (,,ჩვენი მეგობარი'' № 31) ყოველივე სიცლახესთან ასეთი ფრაზაც არის: **მიჰქარავს** გაზეთი ,,სამშობლო'' და სხვა.

გთხოვთ ეს სიტყვები უკანვე წაიღოთ, ვინაიდან ასეთი უზრდელობა არ შეეფერება თქვენ ბრწყინვალებას, თავადო კიტა და არც თქვენ პატიოსნებას, ბატონო გრიგოლ!

რაც შეეხება ჩვენ მხილებას იმის შესახებ, რომ ფედერალისტთა მომხრე გამგეობამ ქუთაისის დრამატიული საზოგადოებისამ 2 აპრილის კრებაზე **ნისიად** შემოუშვა, ეს ხომ ფაქტია და თქვენ დამოწმების გარდა არა დაგრჩენიათ რა.

გაზ. „სამშობლოს“ რედაქტორი ი. ცინცაძე.
6 აპრილი.

ღია წერილი

ბბ სილ. ხუნდაძეს, კიტა აბაშიძეს, გრ. გველესიანს, დავით მესხს, სამსონ ყიფიანს, ტრ. ჯაფარიძეს და ბესარიონ ჯაიანს

გუშინწინ, 5 აპრილს, დრამატიულ საზოგადოების კრებაზე ყველა თქვენგან კარგათ „ცნობილმა“, ფარქოსაძემ მე და მიძახა „რაზბოინიკი და ქურდი“.

მე კი გამიგია ფრიად სანდო პირთაგან, რომ იმ დროს, როცა თქვენი ხელმძღვანელობით გამოდიოდა გაზ ,,კოლხიდა'' და ძველი ,,იმერეთი'' **გუჩა ფარქოსაძემ მიისაკუთრა რედაქციის** ფულები და შეჭამა რამდენიმე ასი მანეთი.

გთხოვთ დამიმოწმოთ, მართალია თუ არა ეს ფაქტი, და თუ მართალია, როგორა ბედავს ეს ქურდ-ბაცაცა ან საზოგადოებაში გამოსვლას და ან ვინმეს შეურაცხყოფას?

ლადო მაჭავარიანი.

დრამატიული საზოგადოების კრება.

5 აპრილი.

ბ. კიტა აბშიძემ კრება გახსნა საღამოს 8 საათზე. გამგეობის თავმჯდომარე ალ კრინიცკიმ კრებას მოახსენა გამგეობის მოქმედების ანგარიში, რის შემდეგაც კომისიის წევრმა ღ ჟვალიანმა წაიკითხა სარევიზიო კომისიის დასკვნა.

გრ. გიორგაძემ შენიშვნა შეიტანა, რომ ანგარიშში მოხსენებული არ იყო ის მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც არის საწევრო ფულის დაკლება და მოითხოვა სარევიზიო კომისიას გამოეთქვა თავისი აზრი.

შოთა დადიანი. ეს კითხვა წესრიგში შეტანილი და ამის შესახებ მაშინ ვილაპარაკოთო: წინადადებას იძლევა შეწყდეს კამათი და დაამტკიცონ ანგარიში

გრ. გიორგაძე. ეს კითხვა რომ ახალი იყოს, მაშინ შეიძლება ასე მოვიქცეთ, მაგრამ ეს ეხება გამგეობის წარსულ მოქმედებას და ამიტომ ახლავე უნდა ვიცოდეთ საქმის ვითარებაო.

ჯაფარიძე. ემხრობა გიორგაძეს და აღნიშნავს, რომ ქინიანობა იქნება ამ საკითხის სხვა ნაირად დაყენება

კრინიცკი. ერთსა და იმავე დანაშაულზე ორჯერ გამროზგავენ (ხმები კარგი უქნიათ).

თავმჯდომარე. ქანდარაზე მყოფ ახალგაზრდობას სთხოვს წესიერება დაიცვან წინააღმდეგ შემთხვევაში ქანდარიდან გაირეკებითო (ხმები, პოლიციით) დიახ, პოლიციით.

კრინიცკი იმეორებს ოქმის დაკარგვისა და წესდების შეცვლის შესახებ ისტორიას და სთხოვს საზოგადოებას პატიებას.

თავმჯდომარე აყენებს წინადადებას გამოეცხადოს გამგეობას მოქმედებისთვის მადლობა სარევიზიო კომისიის შესწორებით და შავი ქვის საბჭოს, რომელმაც უფასოთ დაუთმო საზოგადოებას ერთერთი ოთახი.

შემდეგ გამგ **თავმჯდომარე** კითხულობს 1915—16 წლის ხარჯთ-აღრიცხვას.

ა. ფალავა. გამოსთქვამს სურვილს, რომ შენობის შესაკეთებლათ მიეპატოს 500 მან. და სათეატრო წიგნსაცავს—100 მან. ჰურადაშვილს სასურველათ მიაჩნია, წიგნ-საცავისთვის გადაიდვას 500 მ.

კრინიცკი ამბობს, რომ ამ საქმის მოწესრიგება მოგვენდოს ჩვენ—გამგეობას. (ხმები: დარწმუნებული ხართ, რომ თქვენ იქნებით?)

ჯ. ჯორჯიკია. წელს დრამატიულ საზოგადოებას რაღაც 700 მან. დარჩენია მოგება და არ იცის რა ქნას. ყველაფერს აკეთებენ თავის გუნებით, მაგრამ ის კი არ არის მოხსენებული, თუ როგორ იყო დაცული წრევანდელ სეზონში ხელოვნება. ის გამოსთქვამს აზრს, რომ მომავალ სეზონში იყოლიონ დასი

ს კილაძე აღნიშნავს, რომ ამ პირობებში მსახიობების დაფასება უხერხულია. ხშირათ თეატრის შენობის მოუწყობლობის გამო ჩვენი მსახიობები სცივდებიან.

ა. კრინიცკი. მე ამის შესახებ მოგახსენებთ ქვეშ(!) (სიცილი) თუ ჩემს ლაპარაკს დასცინით, არ ვილაპარაკებო. ბ ბო, მოუწყობელი გვაქვს თეატრი, არ გვივარგა სკამები, ქალები ხშირათ სჩივიან, კაბები გაგვეხაო (სიცილი).

თავმჯდომარე. მაშასადამე, 2000 მან. მაგიერ შესაკეთებლათ გადავსდვათ 3500 მან. წიგნსაცავისთვის კი მივსცეთ გამგეობას ნება 600 მანეთამდი გაიხარჯოს.

ა. ფალავამ წინადადება შეიტანა, კრებამ ეხლავე გამოარკვიოს საკითხი: ეყოლება თუ არა დრამატ. საზოგადოების დასი.

კრინიცკი. ჩვენ საზოგადო კრება იმიტომ მოვახდინეთ ასე ადრე, რომ დრო გვქონოდა საზამთრო სეზონისათვის მომზადებულიყავით. ჩვენ სცენას ახალი არავინ მომატებიან. ერთი იყო ღ. მგალობლიშვილი ც ისიც რუსულ ოპერეტაში ჩაეწერა, რადგანაც მათ უზრუნველ ყვეს მატრიალურათ.

ჯორჯიკია. მაგიერათ დავიდოვი და ირქვა

დ. ქიზაძე ხელოვნება კარგია, მაგრამ თუ მსახიობი არ არის უზრუნველყოფილი მატერიალურათ, ბევრი არ მოეთხოვება. და, როდესაც მსახიობს ამ მხრით უზრუნველვყოფთ, მაშინ შევვიძლია მოვსთხოვოთ კარგი თამაში. საჭიროა, დრ. საზ მოიწვიეს დასში.

შოთა დადიანი წინააღმდეგია დასის მოწვევისა, რადგანაც მსახიობები მხოლოდ მაშინ ცდილობენ კარგათ ითამაშონ, როდესაც მათ თამაშზეა დამოკიდებული საზოგადოების წარმოდგენაზე დასწრებათ შესდგება მსახიობთა ამხანაგობა და დრამ. საზ გამგეობა მოვალე იქნება კანტროლი გაუკეთოს მათ მოქმედებას.

კურადაშვილი. თუ საზ. დასი არ ეყოლება, მაშინ არც კანტროლის უფლება აქვს მას, ამიტომ საჭიროა დასი დავიქირავოთ.

შემდეგ კრებამ დაადგინა მიენდოს ამ საქმის მოწესრიგება გამგეობას, და ამის შესახებ მოიწვიოს საზოგადო არაჩვეულებრივი კრება.

კრება გადადის საწევრო გადასახადის შემცირების საკითხზე· კრებამ ერთხმათ დაადგინა, საწევრო ფული შემცირდეს 1 მანეთამდი და ერთდროული გადასახადი კი —20 მან.

ასახელებენ გამგეობის წევრებს, რომელშიაც შედიან ძველები. კილაძე თავის აცხადებს და მიზეზათ იმას ასახელებს, რომ მას არ შეუძლია იმისთანა გამგეობაში მუშაობა, სადაც შრომა განაწილებული არ არის და მხოლოდ რამდენიმე წევრი მუშაობსო.

ალ. თორაძე. სასურველია, ცალცალკე დაიდგას ყუთი კანდიდატებზე ხმის უმეტესობით გავიდეს ისეთი, რომელსაც მუშაობის უნარი აქვსო.

ა. წერეთელი. დაასახელეთ ვინ არის ასეთი პირი.

თავმჯდომარე და სანფარები თანახმა არიან ყუთი ცალცალკე დაიდგან წევრებმა

ჯ. ჯორჯიკია. ჩემი კარგი ამხანაგია თორაძე, მაგრამ ის ამ სეზონში ერთხელ არ დასწრებია წარმოდგენას და როთ შეუძლია დრამატიული საზოგადოების ღვაწლი დააფასოს (ხმები: დრამატიულ საზოგადოების წევრები მსახიობები ხომ არ არიან, რომ ამით დაფასდეს მათი მოღვაწეობა) რაც შეეხება კილაძის უარის თქმას, მე დარწმუნებული ვარ, მას მიტომ არ უნდა გამგეობაში გავიდეს, რომ ის არ აირჩიეს კულტურულ კავშირში (ხმები: სიცრუეა'.

გ. გიორგაძე ჩვენ კატეგორიულათ ვაცხადებთ, რომ ისეთ დაწესებულებაში, სადაც დემოკრატიული პრინციპი გათელილია, ჩვენ მონაწილეობას არ მივიღებთო.

ჯ. ჯორჯიკია ადგილიდან ხტის და ხმაურობს (ხმები ჯორჯიკიას ბაწარი, ბაწრით დააბით.)

გ. გიორგაძე. ჩვენ მივიღებთ მონაწილეობას მაშინ, როდესაც დემოკრატიას კარს გაუღებენ ამ საზოგადოებაში.

თავმჯდომარე. ა წერეთელმა ორი დღეა (?) სიტყვა მთხოვა და არ მიმიცია. წერეთელმა სთქვა, რომ გიორგაძეს ნება არ აქვს დემოკრატიის სახელით გამოვიდეს

ა. თორაძე შესაძლებელია, ს. დემოკრატები ანტიეროვნული მიმართულებისა იყვნენ, მაგრამ არ გაქვთ უფლება სთქვათ, რომ ს. დემოკრატები მდაბიო ხალხის მოსარჩლენი არ არიანო ეს ერთად ერთი პარტია არის, რომელიც გამოდის ჩვენში მით მოსარჩლეთ.

მოითხოვენ ცალკე ყუთების დადგმას. თავმჯდომარე წინააღმდეგია.

ლადო მაჭავარიანი. ბ-ნო თავ-

— ნუ დაღვრი სისხლს ამ ღატაკის ინასწარმეტყველისას—დაბალის ხმით ჩაუ- აპარაკა იროდემ და მისი არაბული სახე ოტათი შეკრთა. ამ დროს მას თვალწინ მოეცხადა ჩვენება, რომელიც ბოლოს როს მოსვენებას აღარ აძლევდა: იოანნე ათლისმცემლის თავი ხონჩაზე დადებული, რომელიც სალომემ მიართვა მისს ცოლს, როგორც ყველა კაცი, რომელიც მტარვალობას სჩადის ხასიათის სისასტიკით; იროდეს ხანდახან სიცოცხლე ეზიზღებოდა; ბილითვე უყურებდა ქალის სხეულს, ლის მოშიშვლიავ საქციელს, თავის თავს, ლომეს საზარელი ცეკვის შემდეგ, როცა მ ცეკვის საჩუქრად იოანეს მოკვეთილი თავი მიიღო. მისს წარმოდგენაში ხშირად ერთდებოდა ცეკვა, მაცდური სანდომიანობა და უსირცხვილობა ახალგაზდა მშვენიერი სალომეს სხეულისა და მასთან წინასწარმეტყველის მოკვეთილი თავი, რომელიც გამტერებით მისჩერებოდა მისს ვალებს. იროდეს ეჩვენებოდა, რომ ეს მოკვეთილი თავი დაიწყებდა ხტუნვას სალომეს მშვენიერ სხეულთან ერთად. იროდე ხშირად ჩაიკეტებოდა ხოლმე ოთახში, იქიდან ისმოდა იმისი ველური კვილ-ყვირილი. პილატესგან გამოგზავნილი იესოში მან ვერ იცნო აღმდგარი წინასწარმეტყველი. ნუ თუ კაცი, პილატესგან გამოგზავნილი ის იყო, რომელიც ვითომც იოანეს კვალზე მოდიოდა და მასზე უდიდებულესიც იყო. ეს კაცი თვალებში უყურებდა იროდეს და არც ერთ კითხვაზე პასუხს არ აძლევდა, მისს სახეს არ ემჩნეოდა სიმკაცრე, მაგრამ რაღაც ღრმა საიდუმლოება აჩნდა მისს თვალებსა და ბაგეს... იოანე იყო რაღაც ველური თითქმის ლომსავით ფაფარ აყრილი, რაღაც საოცარი, თითქოს ლომისა და კაცის მაგვარი არსება.

და იესოს კი ეტყობოდა რაღაც საამური, ჩაფიქრებული ჰარმონია მთელი მისი არსებისა, აზრი, რომელიც ამ კაცს იროდესთვის ცხადათ არ უთქვამს, მაგრამ იმდენად ღრმა, რომელსაც ვერ მისწვდა იროდეს გონება. მას გულში შიში შესვლოდა, მას ეშინოდა-მეორეთ იმისთანა საცოდაობა არ ჩაეიდინო, რომ იესოც იოანესავით სიცოცხლეს არ გამოესალმოო იროდე ეკითხებოდა თავის თავს, თუ მართლა ამის ზეციური ძალა იოანეზე მაღლა სდგას, რატომ არ გადამიხადა სიმაგიერო და რატომ არ მომკლა? ალბად, ეს კაცი დიდებული წინასწარმეტყველი არ უნდა იყოს; რად უნდა მეშინოდეს მისი და ან რად უნდა დავსაჯო იროდე დასცინოდა იესოს და მის თანამოაზრეთ მასხარად იგდებდა, ჩააცვა ბრჭყვიალა ტანისამოსი და თავისუფლად გაუშვა იმ საიმედო ფიქრით, იქნება, მართლაც, ღვთის მიერ მოვლენილი იყოსო. და მას იროდიადაც ეთანხმებოდა.

— ნუ დაღვრი მაგის სისხლს—უთხრა იროდემ პილატეს, როცა მას გამოემშვიდობა და თავის ტიბერიისაკენ გაემგზავრა.

II.

პილატე დარჩა მარტო, მრავალგვარი ფიქრით დარეტიანებული. თავისი მდგომარეობით შეზრკილი, შეპყრობილი რომელიც მისს ადამიანურს აზრებს სჩაგრავდა და მას გზას უბნევდა,

რაც პილატეს იროდესთვის არ უთქვამს, მაგრამ თვით იროდემ კი იცოდა,—ეს იყო, სხვათა შორის, პილატეს ქრთამები, რომელსაც იგი ებრაელთა სინედრიონისაგან, მდიდარი კაცებისაგან, ფარისეველთა უფროსის—ნიკოდიმოსისგან და იმ წელიწადს ღვდელმთავრათ მყოფ კაიაფასაგან ღებულობდა.

ნიკოდიმოსი ძალიან მახვილი გონების კაცი იყო, მაგრამ პილატემ იცოდა, რომ ნიკოდიმოსი იმ აზრს ემხრობოდა, რასაც იესო გალილეველი ქადაგებდა; ამასვე ემხრობოდა პილატეს ცოლიც ც დიდის სიამოვნებით ემასლაათებოდა ნიკოდიმოსს.

პილატეს არ უნდა შინებოდა არც ნიკოდიმოსის და არც მეორე მდიდარი კაცის, იოსებ არიმათიელის, რომელნიც ნაზარეველთა სექტის მოძღვრებას აღიარებდნენ. პილატემ ეს კარგად იცოდა, მაგრამ მას ძალიან ეშინოდა კაიაფასი და მისი სიძის ანასი, რომელნიც შეურყევლად იცავდენ ებრაელთა სარწმუნოებას და არა მარტო სუსტნი აღმასრულებელნი იყვნენ ამ სარწმუნოებისა როგორც იყვნენ იოსები და ნიკოდიმოსი, რომელთაც მხოლოდ მოსეს კანონები სწამდათ, როგორც უფლისაგან მოცემული. იგინი კეისარს სხვის დასანახავად სცემდენ პატივს, ნამდვილად კი დავით მეფის საბრძანებელის აღდგენის სურვილით იყვნენ გაჟღენთილნი. პილატეს არა ნაკლებ ეშინოდა მათიც, ვისაც სავაჭროთ გეხადათ ტაძარი და ამით გამდიდრებას ცდილობდენ. ეშინოდა მწიგნობრებისა და ფარისეველების, რომელთაც ძალიან სძულდათ იესო, რადგან მათ წინააღმდეგ იყო მიმართული ქადაგება მისი. ეშინოდა, არა თუ მარტო დაბეზღების ჰკუა შემლილ კეისართან, ან მისი მოადგილე მაკრონთან, ეშინოდა იმისაც რომ ხალხი არ აჯანყებულიყო ქალაქში, თორემ პილატე იმ წამსვე თანამდებობის ადგილს დაკარგავდა. კეისარი ისე იყო სულით დაავადებული, რომ თავისივე აჩრდილის ეშინოდა, არა თუ აჯანყების. მისი შიში ადვილი ასახსნელი იყო. პილატეს ბედი, ამ საფრთხილო საქმის გამო, ბეწვზე ეკიდა. როგორც სკეპტიკურად მოაზროვნე რომაელი, განათლებული კაცი, პილატე, დიდის გამოცდილებით ალჭურვილი მედიდურობის ზიზღით უცქეროდა ყველაფერს, რაც ადვილად გასაგები არ იყო, განსაკუთრებით არ ეპიტნიებოდა მას რაღაც განსხვავებული, რომაელთათვის არა ჩვეულებრივი ჭეშმარიტება, რომელზეც გაუგებრათა და ბუნდოვანათ ლაპარაკობდა იესო. როცა იესოს პირის პირ იდგა პილატე, მას სცნობდა რაღაც განყენებულ, განცალკევებულ კაცად, რომლისათვისაც ამ ქვეყნად, სადაც პილატე ცხოვრობდა, თითქო არაფერი არ არსებობსო. ის აზრი, რომელსაც იესო ქადაგებდა იგავებით, ხიბლავდა პილატეს ცოლს; როცა იესოს მკურნალობასა ც მკვდრის აღდგენაზე ლაპარაკობდა ხალხი, პილატეს ცოლი სასოებით, კრძალვით, რწმენითა და ღმობიერად ისმენდა ნაამბობს. მას სწამდა იესოს ჭეშმარიტება; პილატე კი მედიდურათ უარჰყოფდა ამას, როგორც განათლებული ბერძნულ ლიტერატურაზე აღზრდილი რომაელი ამას გარდა, როგორც ჩინოსანს, ბევრი რამ ჰქონდა ნანახი და გაგონილი, კარგად იცოდა, თუ რა არის კარიერა და რა გზით შეიძლება მისი მოპოვება. ამ მოსაზრებით იესოს სწავლასაც აბუჩად იგდებდა. მაგრამ იმისთანა მახლობელი ადამიანი, როგორც მისი ცოლი და ყველა, ვინც კი მის სახლში დადიოდა, ნამეტურ სხვა და სხვა აზრით შეტაცებული, აღგზნებული და თაყვანისმცემელი ქალები იესოსი, მისი საიდუმლო მოწაფეები, როგორიც იყვნენ, მაგალითად, ნიკოდიმოსი და იოსები, ყველა ერთად ირეოდა პილატეს ჩინოვნიკურათ მოაზროვნე თავში და არყევდა მის რწმენას. მის ჩინოვნიკურ მოვალეობას იმ ქვეყნის შესახებ, რომლის მმართველადაც ის იყო გამოგზავნილი, სადაც უნდა დაეცვა მშვიდობა და წესიერება, იმპერატორის ერთგულება და კანონის მთლიანობა. ოლიმპიის ღმერთების შიში მას არ ჰქონდა, მისი რწმენით, ღმერთები უნდა არსებობდენ და მათ პატივისცემით უნდა ვეპყრობოდეთ.

ამ პატივისცემაზე კეისრის მორჩილებასა და ერთგულებაზე იყო დამყარებული ზნეობრივი წესიერება ქვეყნიურ ცხოვრებაში. მაგრამ ხილული ღმერთები როგორც ბევრს სწამდა, ანუ უხილავი ერთი ღმერთი ყველგან მყოფი პილატეს აზრით მაინც არსებობდა, თუმცა ეს მის ჩინოვნიკობას არ შეეფერებოდა ამ ყველგან მყოფს ღმერთზე ლაპარაკობდა ზენონი თავისი მოწაფეებით, რომელთაც სტოიკებს უწოდებდენ; ამათი მოძღვრება დიდათ გაირჩეოდა იმ ბავშური რწმენისგან, ვითომც ღმერთთა შორის ირიცხებოდენ დედაკაცებიც და მამაკაცებიც და ისინი სუფევდენ, ზღაპრული გარდმოცემით, ხალხისთვის და ამ ბავშური სარწმუნოების აღმასრულებელი არ შეიძლება ყოფილიყო განათლებული პილატე. პითაგორის მოძღვრება უფრო დასაჯერებელი იყო რომ სიკვდილის შემდეგ ჩვენი სული ან სხვა კაცად იქცევა, ან ცხოველად და ან მცენარეთაო, როგორათაც ეს სხვებს სწამდათ. გალილეველი კი ჰპირდებოდა ზეციურ სამეფოს; ყველა კეთილსა და სულით განწმედილს ჰპირდებოდა ამ სამეფოს, რა არის საშიში ამ მოძღვრებაში? რა არის ებრაელთა, ან გალილეველთა ერთი მუჭა ხალხი რომისთვის, მთელი ქვეყნისთვის? რამდენიც უნდა იჩხუბონ ერთმანეთთან, იღვაონ, იქადაგონ ქვეყნისთვის, ამ ქადაგებას რა მნიშვნელობა აქვს? ასე ფიქრობდა პილატე და თან თავის თავს ჰკითხავდა: ეს ყოველივე ასეა, მაგრამ ამ დღეებში სინედრიონს უნდა მივსცე გადაჭრილი პასუხი იროდე მეუბნებოდა:-სისხლს ნუ დაღვრიო. ცოლი მეუბნება: ნუ დასჯი ამ მართალ კაცსო, ჩემი ვალია, გადავწყვიტო: როგორ მოვიქცე?

(დასასრული ხვალ)

სტ. ხოჭევანიშვილი.

მჯდომარე, რას მივაწეროთ თქვენი საქციელი! წეღან თანახმა იყავით ცალცალკე დადგმულიყო დასახელებულ კანდიდატების ასარჩევათ საარჩევნო ყუთები, ეხლა კი კატეგორიულათ უარს აცხადებთ.

თავმჯდომარე. ეს წესი თქვენ შემოიღეთ სახალხო უნივერსიტეტის კრებაზე და ჩვენც იმის მიხედვით ვიქცევით.

დ. ქებაძე მოითხოვს ოქმში შეიტანონ ეს განცხადება, რომ ცალკე ყუთს არ დგამენ წევრებისათვის, დადგეს ყუთი.

ლადო მაჭავარიანი. ბ-ნო თავმჯდომარე! სანამ არჩევნები დაიწყებოდეს, გთხოვთ შეეკითხოთ დრამატიული საზოგადოების მოლარეს, ბ-ნ სამს. კილაძეს, განუმარტოს საზოგადოებას: მიღებული ჰქონდა თუ არა შაბათს, 2 აპრილს საღამოს 7 საათზე, საწევრო გადასახადი იმ პირთა, რომელნიც, დამატებითი სიაში იყვნენ მოქცეულნი და თუ არ ჰქონდა, რა უფლებით ისარგებლეს ასეთმა წევრებმა, რომ „ნისიად" მონაწილეობა მიიღეს არჩევნებში?

ამ განცხადებამ დიდათ ააშფოთა ა. კრინიცკი ს. კილაძე ამბობს, რომ შაბათს საღამოს ის ფული მე არ მიმიღია. კრინიცკიმ მხოლოდ მესამე დღეს ჩამაბარა ეს ფული. ალ. კრინიცკი ამბობს, რომ ამხელა კაცი ვარ და ფულის საქმეში არასდ ჰუჰყი არ მომცხებია და განმარტავს: მდივანი გუცა წავიდა მამის ავადმყოფობის გამო (?) სოფელში და რამდენიმე ფული გაყვა მას.*) (**მაჭავარიანი** ადგილიდან შენიშნავს: ეგ ვერაფერი საბუთია.) კრინიცკი ძლიერ აღელვებული ამ შენიშვნით მაჭავარიანს „Мальчишка—нахалъ"—ს უწოდებს. მაჭავარიანი მოითხოვს კრინიცკისაგან ბოდიშის მოხდას შეურაცხყოფისათვის. გუცა ფარქოსაძე მაჭავარიანის მოთხოვნაზე მიმართავს მას და ეუბნება: დიაღ, კრინიცკი ბოდიშს მოიხდის შენთან, რომ შენ არ დაგიძახა „ქურდი და რაზბოინიკი". ამ სიტყვებით აღელვებული მაჭავარიანი მიიწევს გუცა ფარქოსაძისკენ.

დ. ქებაძე გუცას: მე დაგიმტკიცებ შენ, რომ ქურდი და რაზბოინიკი თვითონ შენ ხარ. აიშალენ ზოგიერთი „ჩოხოსნები" და იწევიან მაჭავარიანზე. მაჭავარიანი მოითხოვს კრინიცკისაგან ბოდიშის მოხდას.

კრინიცკი მე ბოდიშს ვიხდი სწორედ არ ვიცი რა ვთქვი აღელვების გამო (ხმები ტილო დაიფარე შუბლზე). მაჭავარიანი მოითხოვს აგრეთვე ბოდიშის მოხდას ფარქოსაძისაგან.

ფარქოსაძე: მე ბოდიშს კი არა კვლავ გავიმეორებ, რომ შენ „ქურდი და რაზბოინიკი" ხარო.

ამ სიტყვებმა საერთო აღელვება გამოიწვია კრებისა. მაჭავარიანი მიიწევს ფარქოსაძესკენ, მაგრამ არ უშვებენ. საზოგადოება მოითხოვს ფარქოსაძის გაგდებას. შემდეგ გალაქტიონ ტაბიძე ადის სცენაზე და მოითხოვს სიტყვას მას ეცემა ცაცა მდივანი და მათიანები და უნდათ სცენიდან გადმოაგდონ (ხმები: ვაშა, ცაცა, არგალახოთ). მას მიეშველა პაოლო. იაშვილი მაგრამ. ამასაც არ ათქმევინეს სიტყვა საზოგადოება წყნარდება. **გ. ტაბიძე** ამბობს ბ-ბო თუ ქუთაისის საზოგადოებაში ვინმეს სიტყვა ეკუთვნის, მეც მეკუთნის. აღელვებული იმით, რომ კ. აბაშიძე, გ. ლალიძე ტ ვილაც გუცა გვაყენებენ შეურაცხყოფას, (ხმაურობაა) ამიტომ ზიზღი თქვენს მოქმედებას ტაბიძე სცენიდან ჩამოდის შემდეგ დაიდგეს ყუთი მოწინააღმდეგეებმა მონაწილეობა არ მიიღეს. ძველ გამგეობაში დარჩა ყველა გარდა ს. კილაძისა და ანჯაფარიძისა, ახალში ამოირჩიეს ა. წერეთელი კოსტავა.

კრება დასრულდა ღამის $1^{1}/_{2}$ საათზე

ა—კი.

ფანტაზისტების შეპყრობა.

ამას წინად ერთ-ერთ ადგილობრივ გაზეთში შემცდარი ცნობა იყო მოთავსებული შესახებ ბავშის გიტაცებისა

როგორც სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, საქმე ასე ყოფილა: ვიღაც შანტაჟისტებს 15000 მან. მოუთხოვიათ სარდიონ ასათიანისათვის, რომელიც სცხოვრობს „პოდგორნი ქუჩაზე", წინააღმდეგ შემთხვევაში, სიკვდილით დამუქრებიან. ეს შეუტყვია პოლიცმეისტერს და მიუჩენია პოლიციელები სადარაჯოთ მისი სახლისათვის. ამასთანავე პოლიცმეისტერს გაუფრთხილებია დარაჯი, ჯანელიძის აბანოსთვის, თეთრ ხიდთან, თვალყური ედევნებია, რათა იქიდან არ გაეტაცებიათ სარდიონ ასათიანის შვილი (მოწაფე), რომელიც დაიარებოდა ჩვეულებისამებრ მამასთან აბანოში განზრახვის სისრულეში მოყვანა სწორედ აბანოდან ნდომებიათ შანტაჟისტებს. 1 აპრილს, გვიან ღამე, მისულან აბანოში ბავშის გასატაცებლათ, უცდიათ დიდხანს, მაგრამ ბავში არ მოსულა. ეს შეუტყვია იქვე მდგომ პოლიციის დარაჯს ბარდაველიძეს. მას კარებთან დაუყენებია რამოდენიმე პოლიციის დარაჯი:

ე. ფხაკაძე და გ. ხმალაძე შემდეგ შეუტყობინებია ბოქაულ აველიანისათვის, რომელიც მოსულა გოგიტა ნიჟარაძისა და ოსმან ნაკაშიძის თანხლებით ამ დროს გამოუვლია უფროს დარაჯს ს. ფხაკაძეს და ბარდაველიძეს, მოუხმარია იგი მათ დაჰქერა დატყვევებაში. აბანოში სულ ყოფილა სამი შანტაჟისტი. გაჩხრეკის დროს აღმოსჩენიათ: ორი ნაგანი 60 ტყვიით, ერთი ჯიბის რევოლვერი ექვსი ტყვიით და ერთი ასაფეთქებელი ყუმბარა. ისინი წამსვე დააკავეს. ჩვენების ჩამორთმევის დროს მათ უთქვამთ: „ჩვენ აზრადაც არ მოგვსვლია გოკიელოვის ან ხეჩინოვის გატაცება, როგორც გვაბრალებენ, არამედ სარდიონ ასათიანის შვილის გასატაცებლად მოვედით აბანოშიო. ასათიანს ვსთხოვეთ 15000 მ., მაგრამ რომ მოეცა 12000 მ. დავჯერდებოდითო". სასტიკი გამოძიება სწარმოებს

X.

წერილი ზემო სვანეთიდან

ჩვენ მივიღეთ ხანგძლივ მოლოდინის შემდეგ რამდენიმე ნუმერი ჟურნალ გაზეთებისა და ფრიად დაინტერესებულნი დავეწაფეთ მათ კითხვას. ბევრი რამ ვსცანით, ბევრი რამ ახალი გავიგეთ, მაგრამ ყოველივე კი უმთავრესად, სამწუხარო და სავალალო.

საქართველოს ყოველ კუთხიდან ერთნაირი მოთქმა—გოდება ისმის, ყველგან დაუჩნევია ამ საშინელ ომიანობას ღრმა კვალი „მუშა ხელი არ არის, ყანა ვენახები დაუმუშავებელი რჩება, საშინელი სიძვირეა, ხალხი დამშეულია, მომავალი კიდევ უარესი იქნებაო"—ვკითხულობთ ყოველ ნუმერში და გული სევდით გვევსება; იმედს გვაძლევს ცოტათი ის, რომ ყოფილა რამოდენიმე საზოგადოება, რომელიც დახმარებას უჩენს გაძვალტყავებულ ხალხს, თუმც კი ამ პატივცემულ საზოგადოებებმა ბევრი კუთხე ჩვენის ქვეყნისა დაივიწყებას მისცეს და დროთა ბრუნვას მიანდვეს მათი ბედი.

ასეთ დავიწყებულ კუთხეთ პირველ რიგში სხვათაშორის სდგას სვანეთი. არც ერთი საზოგადოება ამ კუთხის შესახებ ხმას არ იღებს, კრინტსაც არ სძრავს, მთავრობის მხრივ ხომ სრულიად მიტოვებულია იგი, მაშინ, როდესაც სვანეთის მდგომარეობა უნუგეშოა; მთელი სვანეთი დაცლილია, მუშა ხელისაგან, მაშინ, სახლში დარჩენილი არიან მხოლოდ დედაკაცები და მოხუცნი.

სიმშილობა უკვე რამოდენიმე კვირაა, რაც ესტუმრა სვანეთსაც და ამ მცირე ხანში კი მოსალოდნელია რომ ხალხი მთლად დაიმშეს, რადგან მოსავალი ცუდი იყო მივმართავთ საქველმოქმედო საზოგადოების კომიტეტს. ვსთხოვთ დახმარება აღმოუჩინოს ზემო სვანეთში უმწეოთ დარჩენილ ოჯახებს

მღ. გიორგი ჰირველი.

რუსეთი.

სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე.

1 აპრილს სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე საყურადღებო წინადადება განიხილეს, რომელიც 30 წევრისგან იყო წარდგენილი. ამ წინადადებით მთავრობამ საკანონმდებლო გზით უნდა მიიღოს კანონპროექტი, რომლის ძალით განცხადებითი წესით სააქციონერო საზოგადოებათ დაარსება შესაძლებელი გახდა ამ წინადადების წინააღმდეგ ყოფილი მინისტრი, მაკლაკოვი ამხედრდა. ის ამბობდა, რომ განცხადებითი წესით სააქციონერო საზოგადოების დაარსება ებრაელთა საკითხს წამოაყენებს თუ დღეს ცალკე ერთ ებრაელს არ შეუძლია, მაგალითად, მიწის შეძენა, ამნაირათ ებრაელნი საერთოდ უმიწოთ რჩებიან, მაშინ, როცა მათ სააქციონერო საზოგადოების დაარსების უფლება მიეცემათ, მათ საშუალება ექნებათ სხვა კომპანიებთან ერთად მიწაც შეიძინონ. ამ ნაირათ გამოდის, რომ ერთი ებრაელი ცალკე მიწის შეძენის უფლებას მოკლებული და თუ ათი ან მეტი ებრაელი შეერთდა, მაშინ მათ ეს უფლება დაუბრკოლებლივ ენიჭებათ ამ მიზნით მაკლაკოვმა ზემოხსენებულ წინადადებაში შესაფერი შესწორება შეიტანა.

საბჭოს წევრთა კრებამ წინადადებასაც და მაკლაკოვის შესწორებასაც კენჭი უყარა.

წინადადება ერთხმათ მიიღეს, ხოლო ყოფილი მინისტრის შესწორება 24 ხმის უმეტესობით უარყვეს: 55 წევრი წინააღმდეგი იყო, მომხრე აღმოჩნდა 31 ხმა.

როგორ ზრუნავენ გადმოხვეწილებზე

მოსკოვიდან შემდეგ სენსაციურ ამბავს იტყობინებიან: გადმოხვეწილთა შესახებ თათბირზე გროდნოს სახელზე დაარსებული კომიტეტის ხარჯთაღრიცხვა განიხილეს. გამოირკვა, რომ კომიტეტს 320,000 მანეთიდან 240,000 მან. თავისთავზე დაუხარჯავს; ხოლო გადმოხვეწილებზე—მხოლოდ 80 ათასი მანეთი. და აქედანაც 77 ათასი მანეთი შეძლებულებისათვის მიუცია. კომიტეტმო, სწერია ანგარიშში, თურმე, 2 მილიონი მან. ტანისამოსი უყიდა გადმოხვეწილებს; მაგრამ ეს და სად მიეცა ეს ტანისამოსი ამაზე არავითარი ცნობა აღარა სჩანს. ამას გარდა, კომიტეტს ყოვლად უსაბუთოდ ზარალის შესახებ ოქმები შეუდგენია, რომლის მიხედვით ხაზინამ 9 მილ. მანეთი უნდა გადაიხადოს.

ყველა ამების გამო, გადმოხვეწილთა თათბირმა დაადგინა: კომიტეტს აღარ გადაეცეს ამიერიდან ფული, ზარალის შესახებ ოქმების შედგენა აღიკრძალოს და ანგარიშების გამოსარკვევათ რევიზია დაენიშნოს.

პროვინციის ცხოვრება.

დ. ზესტაფონი. აპრილის დამდეგ რიცხვებში ადგილობრივ სკოლების მასწავლებლებს განუზრახავთ გამართონ „მასწ. დილა" მით მლევიმლის თანადასწრებით, თუ მათ ხელი არ შეუშალა მასწავლებების ადრე სწავლადან დათხოვამ.

აქ საქალო ორკლასიანი სამრევლო სკოლაში 30 და 31 მარტს გამართეს სამასწავლებლო კურსები. კურსებზე დაესწრნენ ოლქის მეთვალყურე მ. არეხოვი, ეპარ. მეთვალყურე ბ. აგერკიევი, შორაპნის მაზრის მეთვალყურე და 30 დე მასწავლებელი ქალები და კაცები. მიცემულ იქნა სანიმუშო გაკვეთილები თვითეულ გაკვეთილს შემდეგ გაიმართა მსჯელობა გაკვეთილებზე განსაკუთრებით საყურადღებო დარჩა მასწ. ს. წხაიძის ქალის გაკვეთილი, თუმცა მას გაკვეთილის დროს აღელვება ემჩნეოდა.

საზოგადოთ ოლქის მეთვალყურე კმაყოფილი დარჩა გაკვეთილებისა, რომლის დასრულების შემდეგაც მან სიტყვით მიმართა მასწავლებლებს და მასწავლებელთ და აღუთქვა უგანასკნელი ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება.

ეტყობა, გამოფხიზლების გზას ადგას სამრევლო სკოლების მასწავლებლებიც კურსების ხშირად გამართვა დიდ სარგებლობას მოუტანს მათ.

იმერეთის ეპისკოპოსის ე-დ სამღ. გიორგის ბრძანებით, საეპ. საბჭოს განუზრახავს გამართონ ხოლმე ასეთი კურსები განსაკუთრებით დაბებში, სადაც მოწვეულნი იქნებიან იმავე დაბის რაიონის მასწავლებლები

პროგრესი.

ღია წერილი

ბ. ბ. ალექსი იმნაძეს, ლადიმერ გუჯაბიძეს და მათ ამხანაგებს, რომლებიც მუშაობდენ ს. შელაში ინჟინერ კინდლოვთან

ბ-ნო ალექსი და ლადიმერ; თქვენ და თქვენს ამხანაგებს გაგიგონებიათ ხმები, თითქოს მე წავართვით „თქვენი დღიური ნამუშევარი ფული. რომ სიმართლე იქნას გამორკვეული მე, თქვენ და თქვენს ამხანაგებს გიწვევთ სამედიატორო სასამართლოში.

შემდეგის პირობით; 1) მტყუანმა მხარემ გადაიხადოს ასი მანეთი, ამათგან 50 მანეთი რომელიმე ქართულ ორგანოს სასარგებლოთ და 50 მან. კი ადგილობრივი (დესის) სამკითხველოს სასარგებლოთ 2) თუ მე გამტყუნდე მაშინ ჯარიმის ზედ დამატებით გადაგიხადოთ იმ ფულებს, რომლებსაც თქვენ მედავებით 3) გაზეთებში იქნეს გამოცხადებული მედიატორების განაჩენი ჩემი მხრით მედიატორებათ ვასახელებ ბ. ბ. თეოფილე ჩახვაძეს და ალ. ჯუგელს. გაძლევთ ვადას ამ წერილის დაბეჭდვიდან ერთ კვირას, რომ დაასახელოთ თქვენი მედიატორები, მხოლოდ თუ უარს იტყვით, მაშინვე მე გიტოვებ უფლებას როგორც იურიდიულს ასე ზნეობრივს მოგეპყროთ როგორც ტილის მჭამელთ

ეკუფე გრ. სარჯველაძე.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგს

დ. ბაღდადის უფასო წიგნ-საცავ სამკითხველოს გამგეობა უღრმეს მადლობას უცხადებს არკადი ნინუას, რომელმაც კეთილ ინება და ხსენებულ სამკითხველოს ნახევარი წლით გამოუწერა ჟურნალი „ნავა", აგრეთვე პარმენ კვერიკაძეს, რომელმაც შემოსწირა ლამფა ღირებული 7 მ. და 10 შაურ.

გამგეობის მინდობილობით ნინო კვერიკაძე.

— —

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ამ ჩემს საპასუხო წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში.

გაზეთ თანამედროვე აზრის მე-12 ნომერში არის მოთავსებული კორესპონდენცია სოფელ სამონეთის შესახებ; ამ წერილიმ ავტორი ბ-ნი „ჯულიარიძე" მეხება პირადათ მე და ბრალს მდებს თითქოს ჩემის მოსაზრებით სამონეთის სასწავლებელში შემომწირველს სხვადასხვა ხარჯები და ვახდევინებდე მოწაფეებს, მაგალითად: მოწმობებში თითო-თითო გაპიკს, სწავლის ქირას თითო-თითო აბაზს და სხვას.

ყოველივე ეს მართალი არ არის. ზნეობრივი მოვალეობა მოითხოვდა ბატონი კორესპონდენტი სკოლის დაახლოვებოდა, სანამდეის გაზეთში და შემდეგ თუ ბრალდასდები ვიყავი რამიმე მკითხველი საზოგადოებისათვის ეცნობ. ჩემის მოსაზრებით, არავითარი გადასახადი არა მაქს შემოღებული ჩემდამი რწმუნებულ სკოლაში. ყოველივე საწერი ხარჯების გაწევა მოწაფეებზე ხდება სკოლის მზრუნველებისა და პედაგოგიური საბჭოს საშუალებით, რადგან სასწავლებელს სხვა წყარო არ მოეძებნებოდა, ამისათვის სამზრუნველომ და პედაგოგიურმა საბჭომ დაადგინა გადაეხადა თვითეულ მოწაფეს მოწმობების

კაპ., ხოლო თით-თითო აბაზი

სამე განყოფილების მოსწა

ბანის დასაქირავებლად

როგორც თქვენ ბრძანებთ, ბ-ნო „ჯულიარ

ძე", და სამ-სამი შაური სკოლის გზის

მოსაკეთებელ მოთულის შესაძენათ. შე

ხარჯის შესახებ შესაფერი ოქმებიც გაზ

ჩემდამი რწმუნებულ სკოლაში და არც არ

თარ ხარჯებს ზემო ჩამოთვლილი საჭიროე

სათვის საზოგადოებიდან მე არ ვღებულ

და არც მიმაღია.

მე მთელს ჩემს ენერგიას ჩემი მოვალე

ბის აღსრულებას ვანდომებ არა თუ ს

სკოლის გარეშეც: თვითონ მე ჩემივე

ების დახმარებით შემოვკავე სკოლის

თუ გაპარტახებული გზის შემოკავება

ლებელს დანაშაულად ჩაეთვლებოდა—ეს

ვიცოდი.

ყოველ შემთხვევაში, ბ. კორესპონდენტ

უმჯობესი იქო პირადათ გაცნობოდით

ნამდვილ ვითარებას, რომ მკითხველი

გადიება და პატივცემული „თან. აზრ."

დაქცია შეცდომაში არ შეგეყვანათ. აქ ხმაი

და ყოველივე იმას, თუ როგორ

ჩემს მოვალეობას ან როგორ ვცდილობ

დის გაუმჯობესებას მე ზედმეტად

სამონეთის საზოგადოება კარგად ხედავს

მოღვაწეობას გარდა თქვენისა.

გამგე მასწავ. გორგაძე.

— —

გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით

ღრმადესი მადლობა გამოუცხადოთ იმ

რომელთაც 2 აპრილს, ჩემის მეუღლის

ლევაში დახმარება გამიწიეს და დასაფლავ

მონაწილეობა მიიღეს, ურმეს მადლობას

რავ პოდპის ლევლ კაპანაძეს, რომელ

უსასყიდლოთ სწერა. აგრეთვე სოხორის მ

დობლებს უსასყიდლო გადიობისთვის.

პატივისცემით: დიანოზ ჩიხლაძე.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხანაგობა „**სამშობლო**

ქუთაისის სამხედრო სათადარიგო ცხენების განყოფილება ამით აც
დებს, რომ პარასკევს, 8 აპრილს, დილის 9 საათზე, ქუთაისის ა
ტილერიის ეზოში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა (ტორგი)

13 უვარგისათ ცნობილ ცხენისა.

3 2—329 ქუთაისის მაზრის სამხედრო უფროსი — პოლკოვნიკი **დობროხოტოვი.**

ქუთაისი.

ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი).

მიღებულია ვენახის ასაკრავი საუკე თეს

ქ ი ლ ი. იქვე იყიდება ყოველგვარი საბაკალეიო საქონელი. ფასები ყველაფერზე ზომიერია.

სიფილისი.

ყოველ მას სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამვენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ მინაურეულათ წამლობის დროს.

პრეპარატი. ექ დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას ყელსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძლობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა დიდ სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ჩირხმლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს.

ხიფარშიფის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის" განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. ჩავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩ., თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 5 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

9 **პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.** (წლიური)

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.

---

*) გუცა ფარქოსაძე კვირას, 3 აპრილს, დილის სამ საათზე ქუთაისში ბრუნდებოდა. ან-აშვ.